



ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia

მარეგულირებელი ორგანო: Goethe-
Institut e.V.

განაცხადების მიღება

კულტურის განვითარების სტრატეგიის შემუშავების მხარდასაჭერად

-

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში

EU4Culture

აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში კულტურისა და შემოქმედებითი სფეროს, როგორც ეკონომიკური ზრდისა და სოციალური განვითარების მამოძრავებელი ძალის მხარდაჭერა

Implementing Partners:



მონაწილეთა საყურადღებოდ

დოკუმენტი წარმოადგენს არაოფიციალურ თარგმანს. ქართულ და ინგლისურ ტექსტებს შორის წინააღმდეგობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ინგლისურ ენაზე შედგენილ ტექსტს.

შინაარსი

აბრევიატურების ჩამონათვალი:	4
1 შესავალი და ზოგადი ინფორმაცია	5
1.1 EU4Culture	5
1.2 ვინ ახორციელებს პროექტს EU4Culture?	5
1.3 პროექტის მიზნები	6
1.4 ფინანსური განაწილების სქემა	7
2 საკონკურსო პირობები	7
2.1 მონაწილეობის კრიტერიუმები	7
2.1.1 განმცხადებლების კვალიფიკაცია	8
2.1.2 გეოგრაფიული და სპეციფიკური კრიტერიუმები	9
2.1.3 დასაშვები ქმედება, რომლის ფარგლებშიც შეიძლება მომზადდეს განაცხადი:	10
2 ხილვადობის წესები	12
2.1.4 მისაღები ხარჯები, რომელიც შესაძლოა იყოს ბიუჯეტის ნაწილი	12
3 განაცხადის მომზადება და წარდგენა	14
3.1 საპროექტო განაცხადის პირველი ეტაპი - კონცეფცია	14
3.2 კონცეფციის შინაარსი	14
3.3 საპროექტო განაცხადის მომზადება და წარდგენა	15
3.4 განაცხადის წარდგენის ვადა	16
3.5 დამატებითი ინფორმაცია	16
3.6 განცხადების ენა	16
4 განცხადებების შეფასება და შერჩევა	17
4.1 განაცხადების დადასტურება	20
5 საორიენტაციო დროის ცხრილი	20
6 ჰორიზონტალური პრინციპები	21
7 საკონტაქტო ინფორმაცია და საინფორმაციო სესიები	21

აბრევიატურების ჩამონათვალი:

CDS	კულტურის განვითარების სტრატეგია
EaP	აღმოსავლეთ პარტნიორობა
EU	ევროკავშირი
NCC/T	ქალაქები, გარდა დედაქალაქისა

1 შესავალი და ზოგადი ინფორმაცია

განაცხადების მიღება კულტურის განვითარების სტრატეგიის შემუშავების მხარდასაჭერად ინერგება ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის EU4Culture ფარგლებში.

1.1 EU4Culture

პროექტის EU4Culture მიზანია, ხელი შეუწყოს კულტურის როლის ზრდას ეკონომიკური და სოციალური განვითარების პროცესში აღმოსავლეთ პარტნიორობის (EaP) ექვს ქვეყანაში: აზერბაიჯანი, ბელარუსი, მოლდოვის რესპუბლიკა, საქართველო, სომხეთი, უკრაინა.

რეგიონთაშორისი მიდგომის გამოყენებით პროექტი მხარს უჭერს ცოდნის გაზიარებასა და კულტურათაშორისი დიალოგის გააქტიურებას აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს შორის. EU4Culture მარეგულირებელი პროცესების და მონაწილეობითობის პრინციპზე დაფუძნებული პოლიტიკური დიალოგის მხარდაჭერით ხელს შეუწყობს კულტურის სფეროში ადგილობრივი მართველობის გაძლიერებას

პროექტი წარმოაჩენს კულტურისა და შემოქმედებითი სექტორის მხარდ შესაძლებლობებს სამიზნე ქალაქების (გარდა დედაქალაქისა) მდგრადი სოციო-ეკონომიკური განვითარების პროცესში. EU4Culture ასევე გააძლიერებს კულტურულ ინიციატივებს და რეგიონალური ხელისუფლების რესურსებს/ შესაძლებლობებს კულტურის პოლიტიკისა და შემოქმედებითი ეკონომიკის მიმართულებით. პროექტი ხელს შეუწყობს საჯარო უწყებების დიალოგს კულტურის დამოუკიდებელ სექტორთან და სამოქალაქო საზოგადოებასთან.

პროექტის შესაბამის EaP ქვეყნების ქალაქებს (NCC/T) შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ პროექტში განაცხადის გაკეთების საფუძველზე. პირველი განაცხადის მომზადების მიზნით თითოეული EaP ქვეყნიდან შეირჩევა ხუთი ქალაქი (NCC/T), რომლებიც მიიღებენ წინასწარ დაფინანსებას 1,000 ევროს ოდენობით. შერჩეული ხუთი ქალაქიდან სამამდე ქალაქი თითოეულ EaP ქვეყანაში მიიღებს 30,000 ევროს ოდენობით გრანტს კულტურის განვითარების სტრატეგიის შემუშავებისთვის.

მესამე საფეხურის ფარგლებში ექვსივე ქვეყნიდან შერჩევა ერთი ქალაქი (NCC/T), რომელიც მიიღებს 300, 000 ევრომდე დაფინანსებას რათა განახორციელოს შემუშავებული სტრატეგია.

1.2 ვინ ახორციელებს პროექტს EU4Culture?

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტი EU4Culture ხორციელდება ევროკავშირის წევრი ქვეყნების შემდეგი კულტურის ინსტიტუტების მიერ:

- გოეთეს ინსტიტუტი (კონსორციუმის წამყვანი პარტნიორი);
- ჩეხეთის ცენტრები;
- დანიის კულტურის ინსტიტუტი;
- საქართველოს ფრანგული ინსტიტუტი.

გოეთეს ინსტიტუტი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთელს მსოფლიოში მოქმედი კულტურის ინსტიტუტია. 90-ზე მეტ ქვეყანაში 150 ფილიალის საშუალებით ეს ინსტიტუტი გრძელვადიან პარტნიორულ ურთიერთობებს ამყარებს წამყვან, პოლიტიკურად დამოუკიდებელ ინსტიტუტებთან და ინდივიდებთან კულტურისა და შემოქმედებითი სექტორის სტიმულირებისა და მხარდაჭერის მიზნით.

ჩეხეთის ცენტრები წარადგენენ ჩეხეთის რესპუბლიკას ფართო სპექტრის კულტურულ და სოციალურ სფეროებში. ჩეხეთის ცენტრების დანიშნულებას წარმოადგენს, დიალოგის განვითარება და ჩეხეთის რესპუბლიკის აქტიური წარდგენა კულტურის სფეროში, აგრეთვე ჩეხეთის რესპუბლიკის პრეზენტაციისათვის ხელის შეწყობა მეცნიერების, განათლების და შემოქმედებითი ინდუსტრიების მიმართულებით. ცენტრები ასევე უზრუნველყოფენ ჩეხური ენის კურსებს სხვა ქვეყანაში.

დანიის კულტურის ინსტიტუტის მთავარი მიზანია, შექმნას გრძელვადიან კულტურულ ურთიერთობებზე ორიენტირებული ხედვა. ხუთი ინსტიტუტით, ორი ფოკუს ქვეყანითა და სხვადასხვა აქტივობებით ინსტიტუტი ცდილობს იყოს იქ, სადაც ხელოვნებას, კულტურას და ცოდნას აქვს ის ძალა, რომელიც ქმნის განსხვავებას. ინსტიტუტის მიზანია, ხელი შეუწყოს კულტურული ფასეულობების საერთაშორისო გააზრებას იდეებისა და გამოცდილების გაცვლის გზით.

საქართველოს ფრანგული ინსტიტუტი ქვეყანაში 2002 წლიდან არსებობს. ამ წლების განმავლობაში ინსტიტუტმა განახორციელა, მათ შორის აფხაზეთში, მრავალი პროექტი კულტურის, ენის შესწავლის, განათლებისა და სამედიცინო სწავლების მიმართულებით. ინსტიტუტი რეგულარულად მართავს EUNIC კლასტერის სხდომებს საქართველოში და თბილისში ორგანიზებას უწევს ენების ევროპულ დღეს.

1.3 პროექტის მიზნები

კულტურის განვითარების სტრატეგიის შემუშავების მხარდასაჭერად გამოცხადებული განაცხადების მიღების ზოგადი მიზანია, ხელი შეუწყოს კულტურისა და შემოქმედებითი ინდუსტრიების როლის ზრდას ეკონომიკური და სოციალური განვითარების პროცესში აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში: სომხეთი, აზერბაიჯანი, საქართველო, მოლდოვას რესპუბლიკა და უკრაინა.

კონკურსის კონკრეტულ მიზანს კი წარმოადგენს, კულტურის განვითარების სტრატეგიის შემუშავება და განხორციელება, რომელიც დაეფუძნება მონაწილეობრივ მიდგომასა და საჯარო-კერძო დიალოგს, ასევე მულტიკულტურული/ მულტიეთნიკური ღირებულებების შენარჩუნებისა და განვითარებას მიზნობრივ ქალაქებსა თუ რეგიონებში.

აქტივობების ჩამონათვალი (საორიენტაციო/არასრული):

1. ქალაქების (NCC/T) ადგილობრივი მმართველობის გაუმჯობესება კულტურისა და შემოქმედებითი სექტორის მიმართულებით;
2. ადგილობრივი ხელისუფლების რესურსებისა და შესაძლებლობების გაძლიერება კულტურის პოლიტიკის მართვისა და შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარების საკითხებში;
3. ქალაქებში (NCC/T) მართვის სტრუქტურების გაუმჯობესება კულტურისა და შემოქმედებითი სექტორის მდგრადი განვითარების მიზნით;
4. კულტურისა და შემოქმედებითი სექტორის მთავარი გამოწვევების ანალიზი;
5. კულტურისა და შემოქმედების სექტორის შესაბამის სახელმწიფო ორგანოებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს შორის თანამშრომლობისა და ქსელის გაზრდა, მაგ: კონსტრუქციული დიალოგი საჯარო ხელისუფლებას, კულტურის ასოციაციებსა და

სამოქალაქო საზოგადოებას შორის, რომლის მთავარი მიზანი იქნება, არსებული რესურსებისა და შესაძლებლობების შესწავლა და გააქტიურება.

6. კულტურული და შემოქმედების ინდუსტრიების ოპერატორების შესაძლებლობების გაძლიერება ხარისხობრივი და მდგრადი მომსახურების მიწოდების მიზნით;
7. კულტურათაშორისი დიალოგისა და ცოდნის გაცვლის პროცესის ხელშეწყობა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში;
8. ცნობიერების ამაღლება და საერთაშორისო შესაძლებლობების შექმნა ეროვნულ/რეგიონულ / ადგილობრივ კულტურის ოპერატორებს შორის

1.4 ფინანსური განაწილების სქემა

კონკურსის სამივე ეტაპის საერთო ბიუჯეტი 1,975,000 ევრო. თუმცა მარეგულირებელი ორგანო იტოვებს უფლებას, არ მოახდინოს აღნიშნული თანხის სრული გახარჯვა.

მითითებული თანხის სამეტაპიანი განაწილების სქემა კი შემდეგნაირია:

1. ეტაპი 1 - 25,000 ევრო: მაქსიმუმ ხუთ (5) ქალაქს (NCC/T) თითოეული მონაწილე ქვეყნიდან ეძლევა 1000 ევროს ოდენობით გრანტი;
2. ეტაპი 2 - 450 000 ევრო: მაქსიმუმ სამ (3) ქალაქს (NCC/T) თითოეული მონაწილე ქვეყნიდან ეძლევა 30 000 ევროს ოდენობით გრანტი;
3. ეტაპი 3 - 1,500,000 ევრო: ერთ (1) ქალაქს (NCC/T) თითოეული მონაწილე ქვეყნიდან ეძლევა 300,000 ევროს ოდენობით გრანტი.

გთხოვთ გაითვალისწინოთ:

აპლიკანტები, რომლებსაც გადაეცემათ გრანტი 1000 ევროს ოდენობით, იღებენ ვალდებულებას, მოამზადონ და წარადგინონ განაცხადი შემდგომი საკონკურსო ეტაპისათვის.

ვადებთან და პირობებთან დაკავშირებული დამატებითი დეტალებისთვის, გთხოვთ იხილოთ წინამდებარე სახელმძღვანელოს ნაწილი 3.

2. საკონკურსო პირობები

2.1. მონაწილეობის კრიტერიუმები

კონკურსში მონაწილეობისათვის არსებობს კრიტერიუმების შემდეგი ქვე-კატეგორიები და მათი დაცვა სავალდებულოა განაცხადის წარდგენისას:

(1) მონაწილეები:

- მთავარი აპლიკანტი (Lead applicant) - იურიდიული პირი, რომელიც წარადგენს განაცხადის ფორმას (2.1.1);
- თანააპლიკანტ(ებ)ი (Co-applicant) (თუ ეს სხვაგვარად არ არის მითითებული, მთავარი აპლიკანტი და თანააპლიკანტ(ებ)ი შემდგომში ერთობლივად მოიხსენებიან, როგორც "განმცხადებლები") (2.1.1)

(2) ადგილმდებარეობა:

- გეოგრაფიული კრიტერიუმები (2.1.2),
- სპეციფიკური კრიტერიუმები (2.1.2);

(3) ქმედება:

- აქტივობები, რომელთათვისაც შეიძლება გაიცეს გრანტი (2.1.3);

(4) ხარჯვა:

- ხარჯვის ტიპები, რომელთა გათვალისწინება შესაძლებელია გრანტის ოდენობის განსაზღვრისას (2.1.4).

2.1.1 განმცხადებლების კვალიფიკაცია

მთავარი აპლიკანტი

განცხადების წარდგენის პროცესში მონაწილეობის მიღება და მთავარი აპლიკანტის როლის შესრულება შეუძლიათ აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების (სომხეთი, აზერბაიჯანი, ბელარუსი, საქართველო, მოლდოვას რესპუბლიკა და უკრაინა) ქალაქებს (NCC/T /):

მთავარი აპლიკანტი არის იურიდიული პირი, რომელიც წარადგენს განაცხადის ფორმას.

იმისთვის, რომ აპლიკანტი უფლებამოსილი იყოს წარადგინოს განაცხადი და მიიღოს გრანტი, ის უნდა წარმოადგენდეს:

- იურიდიულ პირს და
- არაკომერციულ ორგანოს და
- რეგიონალურ / ადგილობრივ საჯარო ხელისუფლებას, რომელიც წარმოადგენს კულტურის ან / და შემოქმედებით სექტორს თავის ქალაქში ან
- არაკომერციული ორგანიზაცია, რომელიც მოქმედებს რეგიონალური / ადგილობრივი საჯარო ხელისუფლების სახელით და წარმოადგენს კულტურის ან / და შემოქმედებით სექტორს მის ქალაქში;
- საპროექტო განაცხადზე უშუალოდ პასუხისმგებელი თანააპლიკანტი ორგანოები და მასთან დაკავშირებული სუბიექტები არ მოქმედებენ, როგორც შუალედური რგოლო

მთავარმა აპლიკანტმა შეიძლება იმოქმედოს ინდივიდუალურად ან ყავდეს თანააპლიკანტი (თუმცა პროექტი განსაკუთრებულად მიესაღმება პარტნიორობაზე დაფუძნებულ განაცხადებს).

მთავარი აპლიკანტის/იურიდიული პირის უფლებამოსილმა წარმომადგენელმა განაცხადის წარდგენა უნდა მოახდინოს ხელმოწერილი დეკლარაციის ფორმით.

გრანტის მიღების შემთხვევაში აპლიკანტს შედეგები წერილობით ეცნობება და გახდება პროექტის ბენეფიციარი, შემდგომში იდენტიფიცირებული, როგორც „კოორდინატორი“.

კოორდინატორი არის მარეგულირებელ ორგანოსთან მთავარი ლეგალური წარმომადგენელი. კოორდინატორი წარმოადგენს და მოქმედებს ნებისმიერი სხვა თანააპლიკანტის სახელით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და კოორდინაციას უწევს სამოქმედო გეგმასა და განხორციელებას.

თანააპლიკანტ(ებ)ი

- თანააპლიკანტები მონაწილეობენ სამოქმედო გეგმის შემუშავებასა და განხორციელებაში, ხოლო მათ მიერ გაწეული ხარჯები ანალოგიურია, როგორც ძირითადი განმცხადებლის მიერ გაწეული ხარჯები;
- თანააპლიკანტებმა უნდა დააკმაყოფილონ ის კრიტერიუმები, რომლებიც მოქმედებს მთავარი აპლიკანტისთვის; ამის გარდა, თუ თანააპლიკანტი წარმოადგენს ადგილობრივ საჯარო ხელისუფლებას, ის ვალდებულია იყოს იმავე ქალაქიდან, საიდანაც მთავარი აპლიკანტი, თუმცა ეს კრიტერიუმი არ ვრცელდება იმ შემთხვევაში, თუ თანააპლიკანტი არის არაკომერციული ორგანიზაცია.

საგრანტო კონტრაქტის მინიჭების შემთხვევაში, თანააპლიკანტები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გახდება ბენეფიციარი (წამყვან განმცხადებელთან ერთად).

2.1.2 გეოგრაფიული და სპეციფიკური კრიტერიუმები

ჩვენ ხაზს ვუსვამთ, რომ აქტივობებს, რომლებიც განხორციელდება კულტურის განვითარების სტრატეგიის შემუშავების ფარგლებში, მიზნად უნდა ისახავდეს მულტიკულტურული / მულტიეთნიკური ღირებულებების შენარჩუნებასა და განვითარებას სამიზნე ქალაქებში.

გეოგრაფიული კრიტერიუმები

აპლიკანტს, რომელსაც სურს, მიიღოს მონაწილეობა აღნიშნულ კონკურსში, უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:

1. წარმოადგენს აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების ქალაქს, რომელიც არ წარმოადგენენ დედაქალაქს და
2. გააჩნია სრული სამთავრობო კონტროლი საერთაშორისო კანონით აღიარებული ნორმების შესაბამისად და
3. აქვთ გარანტირებული და შეუზღუდავი წვდომა, ასევე მდგრადი, დადასტურებული უსაფრთხოების და უშიშროების ზომები ყველა სამიზნე ჯგუფისთვის.

**უპირატესობა მიენიჭება ქალაქებს კულტურის სფეროში ევროკავშირის დაფინანსების ისტორიის გარეშე.*

სპეციფიკური კრიტერიუმები

სპეციფიკური კრიტერიუმები დადგენილია დასაშვები ქვეყნების სიდიდისა და მოსახლეობის გათვალისწინებით, აგრეთვე ქალაქების ადმინისტრაციული დაყოფის საფუძველზე.

იმისათვის, რომ აპლიკანტმა მიიღოს გრანტი, აუცილებელია შემდეგი კრიტერიუმების დაცვა:

სომხეთი მოსახლეობა ca. 2,97 მილიონი	ქალაქები 15 000 ან მეტი მაცხოვრებლით
აზერბაიჯანი მოსახლეობა ca. 10,13 მილიონი	ქალაქები 50 000 ან მეტი მაცხოვრებლით
საქართველო მოსახლეობა ca. 3,72 მილიონი	ქალაქები 15 000 ან მეტი მაცხოვრებლით
მოლდოვას რესპუბლიკა მოსახლეობა ca. 3,31 მილიონი	ქალაქები 15 000 ან მეტი მაცხოვრებლით
უკრაინა მოსახლეობა ca. 41,53 მილიონი	ქალაქები 200 000 ან მეტი მაცხოვრებლით

2.1.3 დასაშვები ქმედება, რომლის ფარგლებშიც შეიძლება მომზადდეს განაცხადი:

განმარტება:

ქმედება შედგება აქტივობების ერთობლიობისაგან.

ხანგრძლივობა:

- პირველადი განაცხადი მომზადების / წარდგენისთვის დაგეგმილი ხანგრძლივობაა ერთი (1) თვე;
- სრული განაცხადის მომზადების / წარდგენისთვის დაგეგმილი ხანგრძლივობაა ორი (2) თვე;
- კულტურის განვითარების სტრატეგიის მომზადების / წარდგენისთვის დაგეგმილი ხანგრძლივობაა ექვსი (6) თვე;
- კულტურის განვითარების სტრატეგიის განხორციელებისთვის დაგეგმილი ხანგრძლივობაა ოცდახუთი (25) თვე;

სექტორები ან თემები:

- კონკრეტული სექტორები ან თემები, რომლებსაც უნდა ეხებოდეს ქმედებებს-აღწერილი წინამდებარე სახელმძღვანელოს 1.3 ნაწილში.
- ქმედებები უნდა მოიცავდეს მინიმუმ სამ აქტივობას 1.3 ნაწილში წარმოდგენილი რვა (8) აქტივობიდან.
- აპლიკანტებმა მკაფიოდ უნდა განსაზღვრონ მათ მიერ იდენტიფიცირებული/შერჩეული აქტივობები;

ადგილმდებარეობა:

ქმედებები უნდა განხორციელდეს შემდეგი ქვეყნების არა-დედაქალაქ ქალაქებში: სომხეთი, აზერბაიჯანი, საქართველო, მოლდოვას რესპუბლიკა და უკრაინა. ამის მიუხედავად, მიზნობრივი აქტივობები (მაგალითად: სემინარი ან კონფერენცია, სასწავლო ვიზიტი, კონფერენციის გახსნა ან დახურვა) შესაძლოა განხორციელდეს სხვა ქვეყნებში იმ შემთხვევაში, თუ წარმოდგენილია საჭიროების არგუმენტირებული დასაბუთება. არგუმენტაციის შესწავლა მოხდება შეფასების პროცესში.

ქმედებებისა და აქტივობების კატეგორიები:

➤ განაცხადების მიღების პირველ ეტაპზე:

აღმოსავლეთ პარტნიორობის თითოეულ ხუთ (5) ქვეყანაში მთავარ აპლიკანტს მოეთხოვება წარადგინოს:

- ქალაქის კულტურული და შემოქმედებითი გარემოს აღწერა;
- კულტურის განვითარების სტრატეგიის ხედვა შესაბამის ქალაქში;

➤ სრული განაცხადის წარდგენის ეტაპზე:

მაქსიმუმ ხუთი (5) მთავარი აპლიკანტი თითოეული აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნიდან, რომლებმაც წარადგინეს განაცხადი მიიღებენ 1,000 ევროს ოდენობით გრანტს და მოწვეულები იქნებიან სრული განაცხადის მოსამზადებლად, რომელიც:

- უფრო დეტალურად განსაზღვრავს კულტურის განვითარების სტრატეგიის ხედვას შესაბამის ქალაქში;
- უზრუნველყოფს ბიუჯეტის განსაზღვრას (როგორც სრული განაცხადის ფორმა).

➤ კულტურის განვითარების სტრატეგიის ეტაპზე:

მაქსიმუმ სამი (3) მთავარი განმცხადებელი აღმოსავლეთ პარტნიორობის 5 მონაწილე ქვეყნიდან, რომლებმაც წარადგინეს სრული განაცხადი გადაეცემათ 30,000 ევროს ოდენობით გრანტი და მოწვეულნი იქნებიან კულტურული განვითარების სტრატეგიის მოსამზადებლად;

განხორციელების ეტაპზე:

ერთ (1) შერჩეული ქალაქს (NCC/T) აღმოსავლეთ პარტნიორობის თითოეული 5 მონაწილე ქვეყნიდან გადაეცემა 300,000 ევროს ოდენობით გრანტი კულტურის განვითარების სტრატეგიის განსახორციელებლად.

ხილვადობა

აპლიკანტი ვალდებულია მიიღოს მონაწილეობა კონკურსის ყველა საჭირო ეტაპზე იმისთვის, რომ ევროკავშირმა მოახდინოს ოფიციალური დაფინანსების ანდა თანადაფინანსება.

შემდგომებისდაგვარად, ქმედებები, რომლებიც სრულად ან ნაწილობრივ ფინანსდება ევროკავშირის მიერ, უნდა მოიცავდეს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ღონისძიებებს, რომლებიც მიზნად ისახავს კონკრეტული ან ზოგადი აუდიტორიის ინფორმირებულობას ევროკავშირის მხარდაჭერის პროგრამის შესახებ კონკრეტულ რეგიონსა თუ ქალაქში.

აპლიკანტმა უნდა შეასრულოს ევროკავშირის დაფინანსებული პროექტების ხილვადობის სახელმძღვანელოს მიზნები და პრიორიტეტები.

დეტალური ინფორმაცია, გთხოვთ იხილოთ შემდეგ ბმულზე:

https://ec.europa.eu/europeaid/communication-and-visibility-manual-eu-external-actions_en).

ასევე დაცული უნდა იყოს პროექტის EU4Culture მიერ შემუშავებული კომუნიკაციის სახელმძღვანელოს მიერ განსაზღვრული პრინციპები.

2 ხილვადობის წესები

EU4Culture პროექტის ფარგლებში გრანტის ბენეფიციარები ვალდებული არიან უზრუნველყონ პროექტის დაფინანსების შესახებ საზოგადოების ინფორმირება (EU დაფინანსებული პროექტი). საინფორმაციო და საკომუნიკაციო კამპანიის ორგანიზების დროს, ბენეფიციარებმა უნდა აღნიშნონ EU4Culture პროექტის და EU დაფინანსებით მიღებული მხარდაჭერა. დაცული უნდა იქნას პროექტის EU4Culture კომუნიკაციის სტრატეგიით გათვალისწინებული ხილვადობის და კომუნიკაციის პრინციპები.

2.1.4 მისაღები ხარჯები, რომელიც შესაძლოა იყოს ბიუჯეტის ნაწილი

ზოგადი ხარჯები:

პროექტის ფარგლებში დაფინანსდება მხოლოდ ის ხარჯები, რომელიც დაშვებულია. კატეგორიები დასაშვები ხარჯების, ასევე ხარჯების, რომელიც ვერ დაფინანსდება მოცემულია ქვემოთ.

დასაშვები ხარჯები არის ხარჯები, რომლებიც რეალურად გაიღო გრანტის მიმღებმა. დასაშვები ხარჯები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:

- ისინი მნიშვნელოვანია საგრანტო მიზნისთვის და აუცილებელია პროექტის განსახორციელებლად;
- ისინი ეხება პროექტის მიერ განსაზღვრულ ქმედებებს;
- ისინი აკმაყოფილებენ მოქმედი საგადასახადო და საკანონმდებლო მოთხოვნებს;
- ისინი გონივრული, მიზანშეწონილი, გამართლებულია, ასევე შეესაბამება ჯანსაღი ფინანსური მენეჯმენტის მოთხოვნებს, განსაკუთრებით ეკონომიკისა და ეფექტურობის მხრივ;
- მეორე ეტაპისთვის: ისინი მითითებულია სავარაუდო სრულ ბიუჯეტში.

დაშვებული პირდაპირი ხარჯები (როგორც სრული განაცხადის ფორმა)

პროექტის ფარგლებში დაიშვება მხოლოდ ის ხარჯები, რომლებიც პირდაპირ დაკავშირებულია ქმედებებთან და აქტივობებთან, მათ შორის:

- სახელფასო ხარჯები/მომსახურეობა, რომელიც რეგულირდება შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე და რომელიც მოიცავს სოციალური უზრუნველყოფის შენატანებსა;
- მასალები/ საოფისე ხარჯები, რომლებიც უშუალოდ უკავშირდება პროექტის ფარგლებში განსაზღვრულ ქმედებებს;
- ხარჯები, რომლებიც წარმოიშობა უშუალოდ ქმედებების შესრულებასთან დაკავშირებული მოთხოვნებიდან (ინფორმაციის გავრცელება, თარგმნა, რედაქტირება, ბეჭდვა და ა.შ) ფინანსური მომსახურების ხარჯების ჩათვლით;

- მომსახურების, მომარაგებისა და სხვა სამუშაო შეკვეთების განსაზღვრული ხარჯები; ეს მოიცავს ხარისხის უზრუნველყოფის ხარჯებს და პროექტის დაგეგმვას, როგორც პროექტის დაწყებისას, ასევე პროექტის განმავლობაში;
- სხვა სათანადოდ დასაბუთებული ოპერაციული ხარჯები;

ხარჯები, რომლებიც ვერ დაფინანსდება:

- სესხები და მომსახურების გადასახადი (პროცენტები);
- დანაკარგების, ვალების ან პოტენციური სამომავლო ვალდებულებების რეზერვები;
- მიწის ან შენობების შესყიდვები;
- ავტომობილების შესყიდვები;
- ოფისის ქირა, თუ განმცხადებელმა ვერ დაადასტურა, რომ დამატებითი და კონკრეტული ოფისის დაქირავება აუცილებელია ქმედების განხორციელების მიზნით;
- ვალუტის გაცვლის ზარალი;
- გადასახადები, დღგ-ს ჩათვლით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ბენეფიციარს შეუძლია დაასაბუთოს, რომ მათი უკან დაბრუნება შეუძლებელია.
- კრედიტი მესამე პირებისთვის;
- ბენეფიციარის მიერ განსაზღვრული ხარჯები, რომლებიც ფინანსდება სხვა პროექტის ან ფონდის საშუალებით, რომელიც უკვე მოიცავს ევროკავშირის გრანტს (არ არის ორმაგი დაფინანსება);
- ე.წ. ინქაინდ (in-kind) სარგებელი (ნებაყოფლობითი მუშაობის გარდა);
- საქმიანობასთან დაკავშირებული პრემიები, რომლებიც შედის პერსონალის ხარჯებში.

მნიშვნელოვანია: დაუშვებელია ინტერესთა კონფლიქტი.

მონაწილეობის კრიტერიუმების თანახმად, მთავარ აპლიკანტს უნდა შეეძლოს განკარგოს ფინანსური და ადმინისტრაციული პროცედურები (მაგ. ბუღალტრული აღრიცხვა, შესყიდვები, კონტროლის ორგანოები და ა.შ.)

აპლიკანტის ადმინისტრაციული, ფინანსური და ოპერატიული შესაძლებლობების შეფასება იქნება კონკურსის მეორე ეტაპის შეფასების მნიშვნელოვანი ნაწილი.

მეორე ეტაპზე განმცხადებლებს ასევე მოეთხოვებათ წარადგინონ შემდეგი დოკუმენტები:

- ბოლო ორი (აუდიტირებული) ფინანსური ანგარიში;
- რეგისტრაციის / იურიდიული სტატუსის დამადასტურებელი საბუთი ადგილობრივი რეგულაციების შესაბამისად;

კონკურსის პირველ ეტაპზე აპლიკანტი ვალდებულია წარადგინოს დეკლარაცია, რომლითაც გამორიცხავს ინტერესთან კონფლიქტს პროექტის განხორციელების ფარგლებში. (იხ. ევროკავშირის ფინანსური რეგულაცია, მუხლი 136.)

ორმაგი დაფინანსების გამორიცხვა

- დასაშვებია ის ხარჯები, რომლებიც დაფარული არ არის დაფინანსების სხვა წყაროებით.
- ხარჯები, რომლებიც დეკლარირებული იქნა ბენეფიციარის (ებ) ის მიერ შემოთავაზებული საქმიანობის ფარგლებში და დაფინანსებულია სხვა დონორის მიერ, რომელიც მონაწილეობის ევროკავშირის მხარდაჭერის პროგრამებში და მიღებული აქვს დაფინანსება, დასაშვებია არ იქნება;

3 განაცხადის მომზადება და წარდგენა

3.1 საპროექტო განაცხადის პირველი ეტაპი - კონცეფცია

საპროექტო განაცხადს საფუძვლად უნდა დაედოს იდეა, რომელიც მკაფიოდ ასახავს კონკრეტული ქალაქის ან დასახლების კულტურულ და შემოქმედების სექტორში არსებულ გამოწვევებს, და ამ გამოწვევების დაძლევის საჭიროებას. მონაწილე ქალაქები ვალდებული არიან განაცხადის მომზადების პროცესში მოიწვიონ/ჩართონ კულტურისა და შემოქმედების სექტორის წარმომადგენლები.

მონაწილეებმა უნდა განსაზღვრონ სამიზნე ჯგუფები და განსახორციელებელი მოქმედებები, განსაზღვრონ პროექტის სამომავლო მიზნები, აქტივობები და ა.შ. არსებული ვითარებასთან და შესაძლო ზემოქმედებასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაციის მოძიებისთვის, მონაწილეებს შეუძლიათ ჩაატარონ კვლევა, მაგალითად საჭიროებების ან ხარვეზების ანალიზი.

შემდეგი ნაბიჯი არის განაცხადის ფორმის მომზადება. მაღალი ხარისხის განაცხადი უნდა წარმოადგენდეს არა მხოლოდ ქალაქის ზოგად პრეზენტაციას და იდეას, არამედ ფოკუსირებული უნდა იყოს მნიშვნელოვანი, შესაბამისი, ეფექტური და კარგად განსაზღვრული მოქმედებების განვითარების შესაძლებლობაზე.



გრაფიკი 1: სააპლიკაციო ფორმის მომზადების ნაბიჯები

3.2 კონცეფციის შინაარსი

- კონცეფციის ეტაპზე (განაცხადის პირველი ეტაპი) მთავარმა აპლიკანტმა უნდა:

- აღწეროს კულტურისა და შემოქმედებითი სექტორის წვლილი ქალაქის ამჟამინდელ სოციალურ-ეკონომიკურ გარემოში;
- წარადგინოს ძირითადი ბაზრობების, ფესტივალების, კონვენციების და სხვა მასშტაბური ღონისძიებების მაგალითები, რომლებიც ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ქალაქის მიერ იყო ორგანიზებული კულტურის ან შემოქმედების სფეროში;
- მოახდინოს დემონსტრირება მულტიკულტურული / მულტიეთნიკური გარემოებების მიზნობრივ ქალაქებში / რაიონებში;
- მოახდინოს ინფორმაციის მოწოდება ძირითადი ინფრასტრუქტურის, ობიექტების ან სხვა პლატფორმებისა და სივრცეების შესახებ, რომლებიც მიზნად ისახავს კულტურისა და შემოქმედების პრაქტიკასა და პოპულარიზაციას;
- აღწეროს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების როლი, რომლებიც მოქმედებენ ადგილობრივ კულტურულ და შემოქმედებით სფეროში;
- განმარტოს, თუ როგორ უჭერს მხარს კულტურისა და შემოქმედებითი სექტორის წარმომადგენლებს ქალაქის საჯარო ხელისუფლებამ;
- აღწეროს შესაძლებლობების განვითარების პროგრამები ან სხვა საგანმანათლებლო პლატფორმები, რომლებიც მიზნად ისახავს კულტურისა და შემოქმედების პოპულარიზაციას მიზნობრივ ქალაქში;
- მოამზადოს ქალაქის კულტურისა და შემოქმედებითი სექტორის განვითარების ხედვის ზოგადი აღწერილობა, ასევე პოლიტიკის ძირითადი ღონისძიებების, ძირითადი სამიზნე ჯგუფების და მოსალოდნელი შედეგების იდენტიფიცირება, რომლებიც შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს ქალაქის კულტურული განვითარების სტრატეგიისთვის.

3.3 საპროექტო განაცხადის მომზადება და წარდგენა

მონაწილეებს განაცხადების წარგენა შეუძლიათ გოეთეს ინსტიტუტის ოფიციალური სააპლიკაციო პლატფორმის (GAP) საშუალებით. განიხილება მხოლოდ გოეთეს ინსტიტუტის ოფიციალური სააპლიკაციო პლატფორმის საშუალებით წარმოდგენილი განაცხადები და უნდა დასრულდეს და შეივსოს ონლაინ სააპლიკაციო ფორმის ყველა ველი.

მონაწილეებმა შესაბამისი ინფორმაცია უნდა წარმოადგინონ ონლაინ სააპლიკაციო ფორმის ინსტრუქციების ან კითხვების შესაბამისად.

მონაწილეებს, განაცხადის ფორმის შევსება და წარდგენა შეუძლიათ ქვემოთ მითითებული ონლაინ სააპლიკაციო პლატფორმის საშუალებით:

<https://gap-online.goethe.de/en-US/cases/378d631f-2ebf-463f-8ff8-e2f2f937a4d9/create>

დამატებით, პლატფორმაზე უნდა აიტვირთოს დეკლარაციის ფორმა.

განაცხადების მიღების დაწყების შემდეგ (2021 წლის 21 მაისი) ნიმუშები და დამხმარე დოკუმენტები ხელმისაწვდომი იქნება პროექტის ვებგვერდზე.

ტექნიკური პრობლემების შემთხვევაში გთხოვთ დაუკავშირდეთ: support.gap@goethe.de.

3.4 განაცხადის წარდგენის ვადა

განაცხადების მიღების ბოლო ვადა არის 2021 წლის 31 ივნისი (23:59, ცენტრალური ევროპის დრო).

ვადის ადგილობრივი დროს თანხვედრისა და შესაბამისობის დასადგენად შეგიძლიათ გამოიყენოთ ნებისმიერი ონლაინ დროის გადამყვანი ინსტრუმენტი, რომელიც ითვალისწინებს დროის ზონებს და ზამთრის / ზაფხულის დროის ცვლილებებს ((მაგალითი იხილეთ აქ)¹

სასურველია, აპლიკანტები არ დაელოდონ განაცხადების წარდგენის ბოლოს დღეს, რადგან ტექნიკურმა შეფერხებამ ანდა ინტერნეტ კავშირის გაუმართაობამ გამოიწვიოს სირთულეები. ამ შემთხვევაში მარეგულირებელ ორგანოს არ ეკისრება არავითარი პასუხისმგებლობა.

ვადის გასვლის შემდეგ წარდგენილი განაცხადები იქნება უარყოფილი.

3.5 დამატებითი ინფორმაცია

EU4Culture გუნდი ორგანიზებას გაუწევს ონლაინ საინფორმაციო სესიებს/სემინარებს, რათა დაზუსტდეს განაცხადების გაკეთებასთან დაკავშირებული პოტენციურ მონაწილეთა ღია კითხვები. სესიები გაიმართება განაცხადების მიღების დაწყებიდან ორი კვირის შემდეგ (2021 წლის ივნისის პირველი კვირა). ონლაინ საინფორმაციო სემინარები გაიმართება ადგილობრივ ენაზე. სესია ჩაიწერება და ხელმისაწვდომი იქნება პროექტის ვებგვერდზე.

შეფასების პროცედურის განმავლობაში განმცხადებლების ყველა კითხვა და პასუხი, ისევე როგორც სხვა მნიშვნელოვანი შეტყობინებები გამოქვეყნდება GAP პორტალზე:

<https://gap-online.goethe.de/en-US/cases/378d631f-2ebf-463f-8ff8-e2f2f937a4d9>

ამიტომ სასურველია რეგულარულად მიმართოთ ზემოხსენებულ ვებგვერდს, რომ გაეცნოთ გამოქვეყნებულ კითხვებსა და პასუხებს.

3.6 განაცხადების ენა

EU4Culture ოფიციალური ენა არის ინგლისური. თუმცა, განაცხადების მიღების პირველ ეტაპზე (ფაზა 1, იხილეთ ცხრილი 3) EaP ქვეყნებს შეუძლიათ განაცხადები წარმოადგინონ სახელმწიფო (ეროვნულ) ენაზე.

¹ For example: <http://www.timeanddate.com/worldclock/converter.html>.

არ განიხილება განაცხადები, რომლებიც წარმოდგენილი იქნება ზემოთ მითითებული ენებისგან განსხვავებულ ენაზე.

4 განცხადებების შეფასება და შერჩევა

ყველა განაცხადი გადის შეფასების სტანდარტულ პროცედურებს, რომლებიც შედგება შემდეგისგან:

- მონაწილეობის კვალიფიკაციის შეფასება - მოწმდება აკმაყოფილებს თუ არა განაცხადი ოფიციალური დაშვების კრიტერიუმებს;
- ხარისხის შეფასება- განაცხადის შინაარსის შეფასება;

თითოეული განაცხადი ექვემდებარება ოფიციალური მონაწილეობის კვალიფიკაციის კრიტერიუმებს. სასურველია, რომ განაცხადის მომზადებამდე და წარდგენამდე მონაწილეები გაეცნონ ზოგად და კონკრეტულ კრიტერიუმებს.

ოფიციალური და შესაბამისობის შეფასება ჩატარდება შემდეგ კრიტერიუმებზე დაყრდნობით:

#	ოფიციალური კრიტერიუმები
1	ონლაინ სააპლიკაციო ფორმა ჩაბარდა ვადების დაცვით (ვადის ამოწურვამდე, იხილეთ ნაწილი 3.4)
2	განაცხადი წარმოდგენილია ინგლისურ ან EaP ქვეყნის ეროვნულ ენაზე
3	განაცხადი სრულად არის შევსებული და გამოყენებულია სწორი ნიმუში
4	ზოგადი და კონკრეტული შესაბამისობის კრიტერიუმები დაკმაყოფილებულია (იხილეთ ნაწილი 2.1.1)
5	მონაწილის სამართლებრივი სტატუსი შეესაბამება სახელმძღვანელოებს (იხილეთ ნაწილი 2.1.2)
6	პროექტის აქტივობები არ დაფინანსებულა და არ დაფინანსდება ევროკავშირის სხვა სახსრებით
7	დეკლარაცია წარმოდგენილია და არის სწორი (ხელმოწერილია აპლიკანტის ოფიციალური წარმომადგენლის მიერ)

თუ განაცხადი ვერ აკმაყოფილებს ზემოთაღნიშნულ კრიტერიუმებს ის გამოეთიშება შეფასების ფაზას.

მონაწილეები, რომლებიც წარმატებით გაივლიან ტექნიკური შემოწმების ეტაპს გადავლენ ხარისხის შეფასების საფეხურზე. ხარისხის შეფასება განხორციელდება დამოუკიდებელი ჟიურის მიერ, რომელიც შედგება გარე ექსპერტებისგან.

გამოყენებული იქნება შემდეგი კრიტერიუმები:

კრიტერიუმი	კითხვები
1. განაცხადის მართებულობა	<ul style="list-style-type: none"> - შეესაბამებათ თუ არა განაცხადი გამოცხადებული შერჩევის თემატურ მიმართულებას? - საკმარისად არის თუ არა წარმოდგენილი განაცხადის მიერ უკვე დასრულებული ან მიმდინარე პროექტების მხარდაჭერა?

<p>2. კულტურული და შემოქმედებითი სექტორის როლი და განვითარება</p>	<ul style="list-style-type: none"> - როგორ აღიწერება მონაწილე ქალაქის ან დასახლების სოციალურ-ეკონომიკურ გარემოში კულტურული და შემოქმედების სექტორის როლი და კონტრიბუცია? - აღწერს თუ არა განაცხადი ძირითად ინფრასტრუქტურას, ნაგებობებს, ან სხვა პლატფორმებს და სივრცეებს, რომლებიც ქალაქის კულტურის და შემოქმედების პრაქტიკას და პოპულარიზაციას უწყობს ხელს?
<p>3. სახელმწიფო და კულტურის და შემოქმედებითი სექტორის კერძო დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობა</p>	<ul style="list-style-type: none"> - რამდენად აღიარებს მონაწილე კულტურის და შემოქმედების სფეროში აქტიური არასამთავრობო ორგანიზაციების/სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების როლს? - რა სახის დახმარებას იღებს ქალაქის/დასახლების კულტურის და შემოქმედების სექტორი სახელმწიფო უწყებებისგან? - მონაწილის ქალაქში/დასახლებაში რა სახის შესაძლებლობების განვითარების პროგრამები ან სხვა საგანმანათლებლო პლატფორმები არსებობს კულტურული და შემოქმედების პოპულარიზაციის მიმართულებით? - როგორ მონაწილეობენ კულტურის და შემოქმედებითი სექტორის საჯარო ან კერძო წარმომადგენლები მონაწილის ქალაქის/დასახლების კულტურული პოლიტიკის შემუშავების პროცესში?
<p>4. საჭიროებების ანალიზი</p>	<ul style="list-style-type: none"> - წარმოადგინა თუ არა მონაწილემ ქალაქის/დასახლების კულტურის და შემოქმედების სექტორის მიმდინარე გამოწვევებთან და საჭიროებებთან დაკავშირებული ინფორმაცია? - წარმოადგინა თუ არა მონაწილემ ჩარევის ან შესაძლო ოპტიმიზაციის ზომები, რომლებმაც შესაძლოა ხელი შეუწყოს კულტურული და შემოქმედების ეკოსისტემის გაუმჯობესებას?
<p>5. კულტურის და შემოქმედებითობის განვითარების ხედვა</p>	<ul style="list-style-type: none"> - როგორ არის აღწერილი მონაწილის ქალაქის/დასახლების კულტურის და შემოქმედების სექტორის გლობალური განვითარების ხედვა? - როგორ აღწერს განაცხადი ძირითად პოლიტიკას (პოლიტიკებს), ძირითად სამიზნე ჯგუფებს და მოსალოდნელ შედეგებს, რომლებიც შეესაბამება კულტურის განვითარების სტრატეგიის დაგეგმვას მონაწილის ქალაქში/დასახლებაში?
<p>6.</p>	<ul style="list-style-type: none"> - მოიცავს თუ არა განაცხადი მინიმუმ სამ საქმიანობას, რომლებიც ჩამოთვლილია საქმიანობის საორიენტაციო და არასაკმარისი ჩამონათვალში (1.3)

ითითებული კრიტერიუმი შეფასდება ოთხქულიანი შეფასების შკალაზე:

ქულა	შეფასება
5 ქულა	შემოთავაზებული კონცეფციის დოკუმენტი აბსოლუტურად დამაჯერებელია. დოკუმენტი ზუსტად შეესაბამება კონკრეტულ თემებს/სექტორებს/სფეროებს და განაცხადის ფორმით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.
4 ქულა	შემოთავაზებული კონცეფციის დოკუმენტი აბსოლუტურად დამაჯერებელი არ არის. დოკუმენტი გარკვეულწილად შეესაბამება კონკრეტულ თემებს/სექტორებს/სფეროებს და განაცხადის ფორმით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.
3 ქულა	შემოთავაზებული კონცეფციის დოკუმენტი დამაჯერებელია მიუხედავად რიგი ხარვეზებისა. დოკუმენტი საშუალოდ შეესაბამება კონკრეტულ თემებს/სექტორებს/სფეროებს და განაცხადის ფორმით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.
2 ქულა	შემოთავაზებული კონცეფციის დოკუმენტი მხოლოდ გარკვეულწილად არის დამაჯერებელი. დოკუმენტი საშუალოზე დაბალი დონით აკმაყოფილებს კონკრეტულ თემებს/სექტორებს/სფეროებს და განაცხადის ფორმით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.
1 ქულა	შემოთავაზებული კონცეფციის დოკუმენტი დამაჯერებელია მხოლოდ გარკვეულ დონეზე. დოკუმენტი საშუალოზე ბევრად დაბალი დონით აკმაყოფილებს კონკრეტულ თემებს/სექტორებს/სფეროებს და განაცხადის ფორმით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.
0 ქულა	შემოთავაზებული კონცეფციის დოკუმენტი ნაკლებად შეესაბამება კონკრეტული თემებს/სექტორებს/სფეროებს და განაცხადის ფორმით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

შეფასების შედეგებზე დაყრდნობით, გარე ჟიურის წევრები მომამზადებენ განაცხადებთან დაკავშირებულ რეკომენდაციებს შემდეგი კატეგორიებით:

რეკომენდაციის კატეგორია	აღწერილობა
A	პროექტები, რომლებზეც გაიცა დადასტურების რეკომენდაცია - ანუ კარგი ხარისხის განაცხადები, რომლებიც უმაღლეს დონეზე აკმაყოფილებს განაცხადების მიღების კრიტერიუმებს
B	პროექტები, რომლებზეც გარკვეული პირობებით გაიცა დადასტურების რეკომენდაცია - ანუ განაცხადები, რომლებიც აკმაყოფილებს კრიტერიუმებს, მაგრამ აქვს გარკვეული სისუსტეები, რომლებიც უნდა გამოსწორდეს დაზუსტების პროცესში
C	პროექტები, რომლებზეც გაიცა უარის თქმის რეკომენდაცია - ანუ პროექტები, რომლებმაც ვერ შეძლეს პროგრამის კონკრეტული სტრატეგიული და ოპერაციული მოთხოვნების დაკმაყოფილება.

4.1 განაცხადების დადასტურება

ხარისხის შეფასებაზე დაყრდნობით განაცხადების საბოლოო შერჩევაზე გადაწყვეტილებად მიიღებს მართვის საბჭო. საბჭომ შესაძლოა დაადგინოს გარკვეული მოთხოვნები, რომლებიც მონაწილეებმა უნდა გაითვალისწინონ დაკონტრაქტების პროცესში ან საბოლოო ანგარიშის ფარგლებში, თუ სხვაგვარად არ იქნება მითითებული.

საბჭოს წარმოდგენილი განაცხადების დადასტურებისთვის ექნება სამი ვარიანტი:

1. განაცხადის დადასტურება;
2. განაცხადის დადასტურება გარკვეული მოთხოვნებით/დაზუსტებებით;
3. განაცხადზე უარის თქმა.

მუდმივმოქმედი კომიტეტის საბჭოს დამტკიცების ა ბენეფიციარისთვის ოფიციალურად შეტყობინების შემდეგ, დაიწყება დაკონტრაქტების (საჭიროების შემთხვევაში- დაზუსტების პროცედურა) და გრანტების გაცემის ფაზა.

5 საორიენტაციო დროის ცხრილი

	თარიღი	დრო ²
განაცხადების მიღების პირველი ეტაპის გამოცხადება	21 მაისი 2021	
მარეგულირებელი ორგანოსგან ნებისმიერი განმარტების მოთხოვნის ბოლო ვადა	4 ივნისი 2021	
პირველი ონლაინ საინფორმაციო სესია	7 ივნისი 2021	10:00
ონლაინ საინფორმაციო სესია	8 ივნისი 2021	10:00
მარეგულირებელი ორგანოს მიერ განმარტებების გაცემის ბოლო თარიღი	11 ივნისი 2021	
განაცხადების წარდგენის ბოლო ვადა	30 ივნისი 2021	12:00
ინფორმაციის მიწოდება ადმინისტრაციული შემოწმებისა და კონცეფციის შენიშვნების შეფასების შესახებ	ივლისი 2021	
აპლიკანტების მოწვევა კონკურსის შემდეგ ეტაპზე განაცხადების წარსადგენად (ხუთი შერჩეული ქალაქი (NCC / T) აღმოსავლეთ პარტნიორობის თითოეულ მონაწილე ქვეყანაში მოწვეულნი არიან წარმოადგინონ სრული განაცხადი)	2 აგვისტო 2021	
მარეგულირებელი ორგანოსგან ნებისმიერი განმარტების მოთხოვნის ბოლო ვადა	13 აგვისტო 2021	
ონლაინ საინფორმაციო სესია	16 აგვისტო 2021	10:00
ონლაინ საინფორმაციო სესია	17 აგვისტო 2021	10:00
მარეგულირებელი ორგანოს მიერ განმარტებების გაცემის ბოლო თარიღი	6 სექტემბერი 2021	
სრული განაცხადების წარდგენის ბოლო ვადა	30 სექტემბერი 2021	12:00
ინფორმაციის მიწოდება აპლიკაციის შეფასების შესახებ	ნოემბერი 2021	
სამი შერჩეული აპლიკანტის მოწვევა კონკურსის შემდეგ ეტაპზე განაცხადების წარსადგენად (ეტაპი 3) (სამი შერჩეული ქალაქი (NCC / T) აღმოსავლეთ პარტნიორობის თითოეულ მონაწილე ქვეყანაში	ნოემბერი 2021	

² ცენტრალური ევროპის დრო

მოწვეულნი არიან წარმოადგინონ კულტურის განვითარების სტრატეგია)		
მესამე ეტაპის განცხადების წარდგენის ბოლოს ვადა	აპრილი 2022	
ინფორმაციის მიწოდება აპლიკაციის შეფასების შესახებ (ეტაპი 3)	ივნისი 2022	
ერთი შერჩეული აპლიკანტის მოწვევა კონკურსის შემდეგ ეტაპზე (ეტაპი 4) (ერთი შერჩეული ქალაქი (NCC / T) აღმოსავლეთ პარტნიორობის თითოეულ მონაწილე ქვეყანაში მოწვეულია წარდგენილი სტრატეგიის განსახორციელებლად.	ივნისი 2022	
სახელშეკრულებო პროცედურა	ივნისი 2022	
კულტურის განვითარების სტრატეგიის განხორციელების დაწყება	აგვისტო 2022	
კულტურის განვითარების სტრატეგიის განხორციელების დასრულება	September 2024	

6 ჰორიზონტალური პრინციპები

თანასწორი შესაძლებლობები და დისკრიმინაციის უარყოფა არის ორი ძირითადი ჰორიზონტალური პრინციპი, რომელიც EU პოლიტიკის და EU4Culture პროექტის განუყოფელი ნაწილია.

შესაძლებლობის ფარგლებში განაცხადებმა/პროექტებმა უნდა უზრუნველყოს აღნიშნული პრინციპების პოპულარიზაცია. პროექტები უნდა ასახავდეს თანაბარი შესაძლებლობების და დისკრიმინაციის უარყოფის ჰორიზონტალურ პრინციპებს, რომლებიც შეესაბამება EU პოლიტიკებს. EU4Culture პოპულარიზაციას უწევს თანასწორ შესაძლებლობებს და სქესის, რასობრივი ან ეთნიკური წარმომავლობის, რელიგიის ან რწმენის, შეზღუდული შესაძლებლობების, ასაკის ან სექსუალური ორიენტაციის საფუძველზე დისკრიმინაციის აღმოფხვრას, ასევე მოქმედებებში, ძალისხმევასა და შედეგებში ქალებისა და მამაკაცების თანასწორობას. ასევე, პროექტებში გათვალისწინებული უნდა იყოს თუ რა ზეგავლენას მოახდენს პროექტი აღნიშნულ პრინციპებზე. მე-3 ფაზის დროს, მონაწილეებს მიეცემათ საშუალება აღნიშნონ თუ როგორ ხდება ჰორიზონტალური პრინციპების საპროექტო აქტივობებში და შედეგებში ასახვა. გარდა ამისა, მონაწილეებმა ხაზი უნდა გაუსვან პრინციპების ასახვის კონკრეტულ ზომებს, რომლების მიღებასაც ისინი გეგმავენ ოპერაციულ დონეზე. ჰორიზონტალური პრინციპების პოპულარიზაცია პროექტის დაფინანსებისთვის შერჩევის დროს მიიჩნევა დადებით ფაქტორად.

7 საკონტაქტო ინფორმაცია და საინფორმაციო სესიები

განაცხადების მიღებასთან დაკავშირებული კითხვების შემთხვევაში გთხოვთ, დაუკავშირდეთ ჩვენს კოორდინატორებს:

ქვეყანა	საკონტაქტო პირი	ელ-ფოსტა
სომხეთი	მარინე კაროიანი	Marine.Karoyan.extern@goethe.de
აზერბაიჯანი	ფირუზა ბაგირი	Firuza.Baghir.extern@goethe.de
საქართველო	ხატია ჭოხონელიძე	Khatia.Tchokhnelidze@goethe.de
მოლდოვას რესპუბლიკა	ევგენ ჰარაბარა	Eugeniu.harabara.extern@goethe.de
უკრაინა	დარია მოსკალევიჩი	Daria.Moskalevych@goethe.de

EU4Culture გუნდი ორგანიზებას გაუწევს ონლაინ საინფორმაციო სესიებს/სემინარებს, რათა დაზუსტდეს განაცხადების გაკეთებასთან დაკავშირებული პოტენციურ მონაწილეთა ღია კითხვები. სესიები გაიმართება განაცხადების მიღების დაწყებიდან ორი კვირის შემდეგ (2021 წლის ივნისის პირველი კვირა). ონლაინ საინფორმაციო სემინარები გაიმართება ადგილობრივ ენაზე. სესია ჩაიწერება და ხელმისაწვდომი იქნება პროექტის ვებგვერდზე.

ველით თქვენს განაცხადებს და გისურვებთ წარმატებას!